საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდები დასრულდა

2024 წლის 27 მარტს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდები დასრულდა. სერტიფიცირების მიზანს საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნის დადგენა წარმოადგენს, შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური მოხელეების შერჩევის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად.

მოქალაქეებს 11 მუნიციპალიტეტში გახსნილი 12 საგამოცდო ცენტრი მოემსახურა. გამოცდის ჩაბარების მსურველებს საშუალება ჰქონდათ აერჩიათ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში მოქმედი საგამოცდო ცენტრი: თბილისი (2 ლოკაცია), თელავი, რუსთავი, გორი, ახალციხე, ტყიბული, ქუთაისი, ზესტაფონი, ოზურგეთი, სენაკი ან ბათუმი.

საგამოცდო ცენტრებში, ჯამურად რეგისტრირებული 970 მოქალაქიდან, 591 გამოსაცდელი გამოცხადდა. გამოცდის ჩაბარების შედეგების მიხედვით სერტიფიკატი 475-მა პირმა (80%) მიიღო (ქალი-324; კაცი-151). საგამოცდო ცენტრების მიხედვით დამუშავებული დეტალური სტატისტიკა ხელმისაწვდომია ბმულზე.

სწავლების ცენტრმა, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს შესთავაზა უფასო მოსამზადებელი სასწავლო კურსის გავლის შესაძლებლობა. 5 დღიანი პროგრამის ფარგლებში სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეებთან ერთად განიხილეს საგამოცდო პროგრამით განსაზღვრული ტესტების შინაარსობრივი მხარე, იმოიხილეს შესაბამისი საკანონმდებლო აქტები და შეასრულეს პრაქტიკული დავალებები. მოსამზადებელი სასწავლო კურსი დისტანციურად (zoom პლატფორმის გამოყენებით) 15-21 მარტის პერიოდში ჩატარდა.

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდები, მიმდინარე წლის 22-27 მარტის პერიოდში, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიასთან თანამშრომლობით, განახორციელა.

2024 წლის 22 - 27 მარტს გამართული საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდის დეტალური სტატისტიკა

N	საგამოცდო ცენტრის დასახელება	გამოცდაზე დარეგისტრირებულ პირთა რაოდენობა	გამოცდაზე გამოცხადებულ პირთა რაოდენობა	პირთა რაოდენობა, ვინც გამოცდა წარმატებით ჩააბარა
1	თბილისის საგამოცდო ცენტრი N1	102	70	66
2	თბილისის საგამოცდო ცენტრი N2	220	144	108
3	თელავის საგამოცდო ცენტრი	45	28	27
4	რუსთავის საგამოცდო ცენტრი	75	59	52
5	გორის საგამოცდო ცენტრი	36	28	26
6	ახალციხის საგამოცდო ცენტრი	53	41	36
7	ტყიბულის საგამოცდო ცენტრი	24	16	13
8	ქუთაისის საგამოცდო ცენტრი	98	55	40
9	ზესტაფონის საგამოცდო ცენტრი	121	30	21
10	ოზურგეთის საგამოცდო ცენტრი	25	15	11
11	სენაკის საგამოცდო ცენტრი	60	35	27
12	ბათუმის საგამოცდო ცენტრი	111	70	48